საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW MARKET SURVEILLANCE AGENCY

0186, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8 ტელ: 1483
8 A. Politkovskaia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: 1483

KARR0132138363322

№ **01/290** **13 / მაისი / 2022 წ.**

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრის
პროგრამის კოორდინატორს
ბატონ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

თქვენი 2022 წლის 28 აპრილის № 3-786 წერილის პასუხად გიგზავნით თქვენ მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას.

1. კანონმდებლობის თანახმად, პროდუქტის რეალიზაციის შესახებ დადგენილება გამოიცემა მას შემდეგ, რაც პროდუქტის შემოწმებით გამოვლინდება დოკუმენტური შეუსაბამობა ან/და ტექნიკური შეუსაბამობა, რომელიც საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან/და გარემოს, ეკონომიკურ ოპერატორს განესაზღვრება გონივრული ვადა შეუსაბამობის გამოსასწორებლად და იგი ვერ აღმოფხვრის აღნიშნულ შეუსაბამობას. სააგენტოს 2022 წლის 19 აპრილის № 01/245 წერილის (შემდგომში - № 01/245 წერილი) I დანართში მითითებული პროდუქტების რეალიზაცია ეკონომიკურმა ოპერატორმა განახორციელა იმ პერიოდში, როდესაც განსაზღვრული იყო გონივრული ვადა შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად, გადამოწმებამდე. ამავდროულად სააგენტოს მიერ ეკონომიკური ოპერატორისაგან გამოთხოვილ იქნა რეალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რის შედეგადაც მოხდა იმ დისტრიბუტორების იდენტიფიცირება, რომლებმაც წყლის მომენტალური გამაცხელებლები შეიძინეს. მათი შეყვანა მოხდა 2022 წლის II კვარტლის სამოქმედო გეგმაში, შესაბამისად, მათი შემოწმება განხორციელდება მიმდინარე კვარტალში.

2. ინფორმაციას სააგენტოს მიერ 2022 წლის I კვარტალში ინდუსტრიულ და სამშენებლო პროდუქტებზე განხორციელებული ზედამხედველობის შესახებ გიგზავნით დანართის სახით.

3. 2022 წლის I კვარტალში შპს გორგიას (245621288) მიერ რეალიზაციის შეჩერების შესახებ დადგენილებებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად შედგა ორი სამართალდარღვევის ოქმი. აღნიშნული მონაცემები ასევე მითითებული იყო №01/245 წერილის I დანართში.

4. სააგენტო ახორციელებს პროაქტიულ და რეაქტიულ ზედამხედველობას. „ბაზარზე ზედამხედველობის წესისა და პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების, ბაზრიდან ამოღების, გამოთხოვისა და განადგურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 ნოემბრის № 539 დადგენილებით გათვალისწინებული პროაქტიული ზედამხედველობის პროცესში ის პროდუქტები, რომლების შემოწმებაც განხორციელდება კვარტლის განმავლობაში განისაზღვრება რისკის ანალიზის საფუძველზე. შესაბამისად, ტექნიკური რეგლამენტების მოქმედების სფეროში არსებული ყველა დასახელების პროდუქტის შემოწმება პროაქტიულად არ ხორცილდება. ამასთან, რეაქტიული ზედამხედველობის ფარგლებში ნებისმიერ პირს, რომელიც ფლობს ინფორმაციას, ან აქვს საფუძვლიანი ეჭვი საფრთხის შემცველი პროდუქტების, მათ შორის, სანთებელების შესახებ, „ბაზარზე შესაძლო შეუსაბამო ან/და დადასტურებული საფრთხის შემცველი პროდუქტის შესახებ განცხადების ფორმის, შემოწმების ოქმების აღრიცხვის რეესტრის ფორმის, დადგენილებების აღრიცხვის რეესტრის ფორმის, ნიმუშის მიღება-ჩაბარების აქტის ფორმის და პროდუქტის განადგურების შესახებ ოქმის ფორმის დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს უფროსის 2020 წლის 17 ივლისის №10/ს ბრძანების I დანართით განსაზღვრული ფორმით მიმართოს სააგენტოს. ამ საფუძვლით სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს ზედამხედველობის პროცედურები.

5. სააგენტოს 2022 წლის სამოქმედო გეგმას გიგზავნით დანართის სახით.

გარდა ამისა გაცნობებთ, რომ Facility for the Implementation of the Association Agreement in Georgia პროექტის დახმარებით იქმნება სააგენტოს ვებ-გვერდი, რომელიც გადის დამუშავების ბოლო ეტაპს. შესაბამისად, სააგენტოს მიერ საჯარო ინფორმაცია პროაქტიულად გამოქვეყნდება ვებ-გვერდის დასრულების შემდგომ.

დანართი:

1. 2022 წლის I კვარტალში შემოწმებული სამშენებლო და ინდუსტრიული პროდუქტები - 1 ფურცელი;

2. სააგენტოს 2022 წლის სამოქმედო გეგმა - 1 ფურცელი.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი	ხელმოწერილია/ შტამპადასმულია ელექტრონულად	ელენე კუტალაძე